ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 461

"9" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" და „კ" ქვეპუნქტების, ასევე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 განკარგულების, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულების, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №145 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №1173 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 29 სექტემბრის №25.1631.1838 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, დამტკივდეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ" ხელშეკრულება და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 23 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ" ხელშეკრულება და მისი

მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 11 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე